

თამარ მახარობლიძე

ბრუნვათა სისტემა ქართულ ქესტურ ენაში

ქესტური ენები არის ენობრივ ნიშანთა სისტემის კინეტიკური კოდირების მქონე ენები. ასეთ ენებში უხვია როგორც იკონურ-პანტომიმური ენობრივი ელემენტები, ასევე დეიქტიური ერთეულებიც. რამდენადაც ამ ტიპის ენებში მიმიკურ-მანუალური ქესტებით ადვილად ხერხდება სივრცითი მიმართებების კინეტიკური გადმოცემა, ამდენად აღარც დგას ის საჭიროება, რომ ბრუნვათა სისტემებს ასეთი დატვირთვა ჰქონდეთ. ზოგადად, მიღებულია აზრი, რომ ქესტურ ენებში არ გვაქვს ბრუნვები. თუმცა აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ ამ მოსაზრებას რამდენიმე მეცნიერი უპირისპირდება და არის მცდელობები, რომ გამოვლინდეს ბრუნვები ამა თუ იმ ქესტურ ენაში. ამ მიმართულებით ყველაზე გაბედული მცდელობა ჰქონდა ირტ მეირს 2003 წელს. მან მიმოიხილა ებრაული ქესტური ენის ლინგვისტური ერთეულების დისტრიბუცია აქტანტური თვალსაზრისით და გამოყო ნაცვალსახელოვანი ერთეული (PRO), რომელიც მხოლოდ ობიექტის როლით მონაწილეობს წინადადებაში და ფორმოზ-ფუნქციური პარამეტრებით უპირისპირდება ანალოგიური ფორმატის ლექსემას (მეირი 2003). აღნიშნული ავტორი თავისი ნაშრომის ბოლოს გამოთქვამს ორ ვარაუდს. პირველი ვარაუდი არის ის, რომ ქესტური ენები არ გამოიყენებენ ბრუნვათა სისტემებს სივრცით მიმართებების აღსანიშნავად და ასეთ დროს მათი სივრცითი შინაარსი იქნება გაფერმკრთალებული. მეორე ვარაუდი კი არის შემდეგი: თუ რომელიმე ქესტურ ენას დასჭირდება ბრუნვათა სისტემის გაფორმება, მაშინ ის არ გამოიყენებს სივრცითი დამოკიდებულებების აღმნიშვნელ ენობრივ ერთეულებს. რასაკვირველია, ამ ხედვათა დადასტურების ან უარყოფის მიზნით საჭიროა ქესტურ ენათა შედარებითი ანალიზის ჩატარება.

როგორც კერძო ენის თვალსაზრისით, ასევე ზოგადი ტიპოლოგიური კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ქართული ქესტური ენის მასალამ ერთობ საინტერესო ვითარება გამოავლინა ბრუნვათა თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, უნდა ხაზგასმით აღვნიშნო ის გარემოება, რომ ქართული ქესტური ენა ბევრი ასპექტით არ იმეორებს ქართული სამეტყველო ენის ბრუნვათა სისტემას. თავისთავად, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია,

რომელიც (სხვა ამ ტიპის ენობრივ მოვლენებთან ერთად) მეტყველებს იმაზე, რომ ქართული ქესტური ენა არ არის ქართული სამეტყველო ენის კალკირებული ვერსია. ეს კი თავისი მხრივ, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართული ქესტური ენა არის თავისი, კერძო გრამატიკული სისტემის მქონე დამოუკიდებელი ენა. საინტერესოა ის გარემოება რომ ამ ენაში ზოგჯერ არ ხდება ბრუნვიანი ფორმის გამოყენება, ასევე შესაძლოა თანდებულებიც არ იქნეს გამოყენებული რიგ შემთხვევებში. თუმცა ამ ენაში არსებულ ყველა ბრუნვას (ასევე თანდებულსაც) საჭიროებისამებრ აუცილებლად გამოიყენებს ამ ენის მატარებელი პირი, როდესაც მას სურს, რომ კარგად იქნეს გაგებული მისი ნათქვამი. სათანადო პროპორციით, ერგატივთან შედარებით უფრო ხშირი გამოყენება აქვს დატივ-გენეტივის მარკირებულ ფორმებს, ხოლო ვოკატივის ფორმა ყოველთვის შესაბამისი ქესტური მარკერით გამოიყენება თავის ადგილზე. ერგატივის ნაკლები გამოყენება, ერთის მხრივ, აიხსნება იმ გარემოებით, რომ სტატისტიკურად ქართული ქესტური ენის მატარებელი ბილინგვური ადამიანებისთვის მეორე ენა რუსულია უმეტესწილად. მეორე მიზეზი კი არის ის გარემოება, რომ თავად ქართული ქესტური ენა წლების განმავლობაში განიცდიდა რუსული ქესტური ენის გავლენას. ამ ენისთვის კი ერგატივის მორფოსემანტიკა სრულიად უცხოა. პოსტსაბჭოთა სივრცეში ქესტური ენების რეინტეგრაცია ცალსახად უწყობს ხელს ერგატიული სისტემის გაშლას და ქართული ქესტური ენის ენის ბუნებრივი განვითარების პროცესებს.

კვლევების შედეგად ქართულ ქესტურ ენაში გამოვლინდა ოთხი ბრუნვა:

1. ნომინატივი,
2. ერგატივი,
3. დატივ-გენეტივი და
4. ვოკატივი.

ნომინატივი არის უმერკერო ბრუნვა, რომელიც სისტემაში ნულოვანი, არამარკირებული ოპოზიციური ერთეულია.




კაცი



კაცი არის

ერგატივი არის ბრუნვა, რომელსაც ქართულ ჟესტურ ენაში აქვს ნიშნად ადამიანის აღმნიშვნელი ჟესტი. ეს ბევრ ენაში ამავე ლექსიკური შინაარსის მქონე გავრცელებული ჟესტია და classifier -ს უწოდებენ. ეს ჟესტი პოლიფუნქციურია. იგი ასევე აწარმოებს პროფესიულ სახელებს და გამოხატავს ადამიანთა მრავლობითობას ქართულ ჟესტურ ენაში.



ეს არის ერთხელისანი დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია მარცხნივ, ცერი და საჩვენებელი თითები მოხრილია, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. სრულდება ერთფაზიანი მოძრაობა ზევიდან ქვევით.

საგულისხმოა, რომ ქართულ ჟესტურ ენაში ერგატივი გვხვდება ქართული სამეტყველო ენის კონსტრუქციის მოდელით, ანუ ეს არის გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვა მეორე სერიის ფორმებთან. თავის მხრივ, ეს ფაქტი ადასტურებს ქართული სამეტყველო ენის გავლენას ქართულ ჟესტურ ენაზე. ასეთი ტიპის გავლენა უნივერსალურია, რადგანაც ყველა ქვეყანაში ყრუები სამეტყველო ენებზე იღებენ განათლებას და მადენად, ყველა ჟესტური ენა განიდის სამეტყველო ენის გავლენას.



კანა

რაც შეეხება ამ ბრუნვის დიაპაზონს, ის გაცილებით ვიწროა ქართულ სამეტყველო ენასთან შედარებით. ამ ბრუნვაში მხოლოდ ადამიანის კატეგორიის სახელები შეიძლება იყოს წარმოდგენილი. სხვა სულიერი სახელები (ცხოველები ან ფრინველები) და უსულო საგნები ამ ბრუნვაში არ შეგვხვდება.



კანა ღახაზა

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იგივე ქესტი ასევე მრავლობითობის მარკერიცაა ადამიანის კლასის სახელებში. მაგალითად:



კანაზი

საყურადღებოა, რომ მრავლობითობას აქვს სხვა ფორმაც, ორხელიანი სიმეტრიული ქესტით გადმოცემული:



კანაზი


როდესაც ერგატივშია მრავლობითობა მყოფი სახელი (მაგალითად, *კაცებმა*), მაშინ ეს მთავლობითობის მეორე მორფემა გამოიყენება:



კანცეპა

საგულისხმოა, რომ ქართულ ჟესტურ ენაში მრავლობითობის ნიშანი წინ უსწრებს ბრუნვის ნიშანს.

მესამე ბრუნვა არის უფრო ფართო შინაარის მქონე დატივ-გენეტივი. ამ ბრუნვის ნიშანია ერთხელიანი მითითების ჟესტი:



მიმართების ნიშანი

ხელისგული მიმართულია ქვევით, წინ მიმართულია გაშლილი საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკულია მუშტად, სრულდება წინ მიმართული მოძრაობა. ამ ჟესტს შესაძლოა რელაციური ნიშანიც ეწოდოს, რამდენადაც იგი აქტანტური (ან პოსესიური) სემანტიკის მქონე ბრუნვაა.



კაცს მიჰყავს



მე კაცს ვუთხარი

ამ რელაციურ მარკერს, შესაძლოა, მიმიკური ნიშანიც ცვლიდეს. შეადარეთ მესამე ფოტოები წინამდებარე და მომდევნო სურათებზე წინადადებაში *მე კაცს ვუთხარი*.

:




მე კაცს ვუთხარი

ქვემოთ მოყვანილი ფორმა პოსესიური სემანტიკის გამომხატველია. დატივი და გენეტივი ერთიანი ბრუნვაა ამ ენაში.



ქაზის ნიშნი

ბოლო, მეოთხე ბრუნვაა ვოკატივი. მისი ნიშანია ერთხელისანი ჟესტი მარცხნივ და ზევით მიმართული, გაშლილი ხელისგული:





კაცო



კაცო. თქვი

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მრავალ სამეტყველო ენაში ბრუნვათა სისტემაში შეტანილია თანდებულიანი ბრუნვებიც. ამ მიმართულებით თუ ვიმსჯელებთ, ქართული ჟესტური ენაში ზემოთ აღნიშნულ ბრუნვებს დაემატება -ში, -ზე, - თან, -კენ ფორმიანი ჟესტებიც. საგულისხმოა, რომ ეს ერთეულები ძირითადად უკუდებულებია ქართულ ჟესტურ ენაში, თუმცა შესაძლოა, რომ იშვიათად პრეპოზიციური წყობაც (ანუ წინდებულიანი ფორმები) შეგვხვდეს ენაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მიდგომა, ანუ თანდებულიანი ფორმების ბრუნვათა სისტემაში მოაზრება უარყოფს მეირის წინასწარმეტყველებას. ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ წმინდა ბრუნვითი სისტემა გამოვყავით. ასეთი სისტემა ცალსახად ადასტურებს მეირის ვარაუდებს. რაც შეეხება თანდებულიანი ფორმებით ბრუნვათა სისტემის გამდიდრებას, ვფიქრობთ, რომ ეს სამომავლო განხილვის საგანია და ფართო ტიპოლოგიურ ჭრილში უნდა იქნეს გაანალიზებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

- მახარობლიძე თ. (2015) ქართული ჟესტურის ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ.
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი 610-გვ.
- თ. მახარობლიძე, (2015) პოლიპერსონალიზმი ჟესტურ ენებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ შრომები III. 2015. ქუთაისი გვ. 231-238
- Aronoff, Mark, Meir, Irit & Sandler, Wendy (2000). Universal and particular aspects of Sign Language morphology. In Grohmann, Kleanthes K. & Struijke, Caro (eds.), *University of Maryland Working Papers in Linguistics* **10**. 1±34.
- Sign Language Linguistics, Gallaudet University, Washington, DC.
- Bisang, Walter (1996). Areal typology and grammaticalization: processes of grammaticalization based on nouns and verbs in East and Mainland South East Asian languages. *Studies in*
- Blake, Barry J. (1994). *Case*. Cambridge: Cambridge University Press.
- Croft, William (1991). *Typology and universals*. Cambridge: Cambridge University Press.
- Emmorey, Karen (ed.) (in press). *Perspectives on classier constructions in sign languages*. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Associates.
- Hopper, Paul J. & Traugott, Elizabeth C. (1993). *Grammaticalization*. Cambridge: Cambridge University Press.
- Janzen, Terry (1999). The grammaticization of topics in American Sign Language. *Studies in*
- Johnston, Trevor (1991). Spatial syntax and spatial semantics in the inflection of signs for the marking of person and location in Auslan. *International Journal of Sign Linguistics* **1.2**. 29±62.
- Klima, Edward S. & Bellugi, Ursula (1979). *The signs of language*. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Kurylowicz, Jerzy (1965). The evolution of grammatical categories. *Esquisses Linguistiques* **2**. 38±54.
- Makharobidze Tamar (2015) Indirect object markers in Georgian Sign Language. *Sign Language & Linguistics*. #18 (2) [John Benjamins](#) Publishing Company. P. 238-250
- McDonald, Betsy (1983). Levels of analysis in sign language research. In Kyle, Jim G. & Woll,
- Bencie (eds.), *Language in sign : an international perspective on sign language*. London & Canberra: Croom Helm. 32±40.
- Meir, Irit (2003) Grammaticalization and modality: the emergence of a case-marked pronoun in Israeli Sign Language" *Linguistics* 39 (2003), 109±140. # 2003 Cambridge University Press DOI: 10.1017/S0022226702001664 Printed in the United Kingdom
- Meier, Richard P. (1982). *Icons, analogues and morphemes: the acquisition of verb agreement in ASL*. Ph.D. dissertation, University of California, San Diego.
- Padden, Carol (1988 [1983]). *Interaction of morphology and syntax in American Sign Language* (Outstanding Dissertations in Linguistics, Series IV). New York: Garland Press.
- Pagliuca, William (ed.) (1994). *Perspectives on grammaticalization*. Amsterdam & Philadelphia: John Benjamins Publishing Company.

- Pesetsky, David (1990). Experiencer Pred and universal alignment principles. Ms., MIT.
- Rathmann, Christian (2000). Does the presence of a Person Agreement Marker predict word order in sign languages? Paper presented at the Seventh International Conference on Theoretical Issues in Sign Language Linguistics, Amsterdam, July 2000.
- Romaine, Suzanne (1999). The grammaticalization of the proximative in Tok Pisin. *Language* 75.2. 322±346.
- Schembri, Adam (in press). Rethinking 'classifiers' in signed languages. In Emmorey, (ed.).
- Supalla, Ted (1982). *Structure and acquisition of verbs of motion in American Sign Language*. Ph.D. dissertation, University of California at San Diego.
- Taub, Sarah F. (2001). *Language from the body: iconicity and metaphor in American Sign Language*. Cambridge: Cambridge University Press.

Tamar Makharoblidze

**Case System in GESL
(Abstract)**

The cases in Sign Languages are not usual, although there are some trials to analyze such systems. Crucially, it is not expected to have the similar systems in spoken and sign languages. Sign languages are visual-kinetic languages with wider possibilities to convey any type of spatial relations. The proper case system was revealed in the Georgian Sing Language (GESL). GESL has four cases for nouns: nominative, ergative, dative-genitive and vocative. The cases occur with the certain signs - case markers, not sharing the all semantic and morphological properties of the same cases in the spoken Georgian language.

Keywords: Georgian Sign Language, GESL, case, morphology, cases in SL

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ფინანსური მხარდაჭერით, 216702 „ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგია“